ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 48261545
თარიღი:03/06/2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის №g-49.49261488 განკარგულების აღსრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის №g-49.49261488 განკარგულების შესრულების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის №g-49.49261488 განკარგულებით დამტკიცებული პირობების შესრულებაზე, სივრცის გამოყოფასა და დაჯავშნაზე ორგანიზაციული კონტროლის განხორციელება დაევალოს **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქალაქ წყალტუბოს ადმინისტრაციულ ერთეულს.**

2. ქალაქ წყალტუბოს ადმინისტრაციულმა ერთეულმა უზრუნველყოს:

ა) დაინტერესებულ პირთათვის წინასწარი კონსულტაციის გაწევა, შესაბამისი საბანკო რეკვიზიტებისა და სახაზინო კოდის მიწოდება;

ბ) შევსებული განაცხადისა და თანდართული საბანკო ქვითრის ოფიციალური რეგისტრაციის მიზნით, დაინტერესებული პირის მერიის კანცელარიაში გადამისამართება და აღნიშნულის საფუძველზე შესაბამისი კალენდარული გრაფიკის (ჯავშნების რეესტრის) წარმოება;

3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილებას დაევალოს აღნიშნული გადაწყვეტილებისა და საინფორმაციო მასალის განთავსება მერიის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნება მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურს

დაევალოს საინფორმაციო/სარეკლამო ბანერის დამზადება და ცენტრალური პარკისა და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსება, მასზე ნებართვის საფასურისა და დაჯავშნის პირობების შესახებ ინფორმაციის მითითებით.

5. ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სარეკლამო ბანერის დამზადებისა და განთავსების ხარჯები ანაზღაურდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვივალებ პირადად.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით, ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2
221274546

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი